## საქართველო
## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302310341**
თარიღი: **13/04/2023**

**ადრესატი:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

---

*ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს*

*თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს*

*ბატონო ბესიკ,*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ ქვეპუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

**1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი**

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, წერილით მომართა ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ (ს/ნ 233730763) მენეჯერმა ნატო მენაღარიშვილმა, (კანცელარიის N13/302310166-30 11.04.2023 წ.) რომელმაც თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის RENAULT DUSTER (რეგისტრაციის ნომერი BB-309-BP ვინ კოდი VF1HSRC8N48679798 გამოშვების წელი - 2013) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი და მოგვცეთ თანხმობა.

**2. პროექტის ფინანსური დასაბუთება**

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

**3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი**

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

**4. პროექტის წარმდგენი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი:**08-302310173**
თარიღი: **11/04/2023**

**ადრესატი:**

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს**

**ქონების მართვისა და სოფლის
მეურნეობის სამსახურის უფროსის
ირაკლი ხუხუნაიშვილის**

**მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი**

**ბატონო ალექსანდრე,**

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არა უმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით,მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა),მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას წერილით მომართა ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ( ს/ნ 233730763) მენეჯერმა ნატო მენაღარიშვილმა ( კანცელარიის N 13/302310166-30 11.04.2023 წ) რომელშიც მოთხოვნილია სამსახურეობრივი სარგემბლობისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა RENAULT DUSTER-ის ( სახელმწიფო ნომერი BB-309-BP ვინ კოდი VF1HSRC8N48679798 გამოშვების წელი - 2013) გადაცემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს ( ს/

ნ 23373076) თხოვების ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით მისი არსებობის ვადით გადაეცეს ზემოთ აღნიშნული მოძრავი ქონება.

ზემოთაღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანება.

გთხოვთ დაავალოთ ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება.

**დანართი:** 3 (სამი) ფურცელი

**პატივისცემით:**

ირაკლი ხუხუნაიშვილი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი

საქართველო
ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ცენტრი

**georgia**
LANCHKHUTI
PUBLIC HEALTH CENTRE

ლანჩხუთი, ჟორდანიას 126
tel: 599 15-86-67;

126 Jordania, Lanchkhuti
Tel: 599 15-86-67;

№ 66

11 აპრილი 2023წ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს
ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის
მენეჯერის ნატო მენაღარიშვილის

განცხადება

გთხოვთ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს სამსახურეობრივი სარგებლობისათვის გადმოსცეთ მუნიციპალიტეტის ბალანზე არსებული ავტომანქანა RENAUT DUSTER BB 309 BP.

პატივისცემით,

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის
მენეჯერი: ნ. მე /ნ. მენაღარიშვილი/

ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
PUBLIC HEALTH CARE OF LANCHKHUTI
GEORGIA
233730763

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2023 წლის აპრილი
ქ. ლანჩხუთი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ ქვეპუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ (ს/ნ 233730763) მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ RENAULT DUSTER (რეგისტრაციის ნომერი BB-309-BP ვინ კოდი VF1HSRC8N48679798 გამოშვების წელი - 2013)

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე

| | | |
|---|---|---|
| მარკა / Make | D.1 | RENAULT |
| ტიპი / Type | D.2 | მაღალი გამავლობის\HIGH PASSABILITY |
| მოდელი / Model | D.3 | DUSTER |
| სატრ. საშ. საიდენტიფიკაციო ნომერი / Vehicle identification number | E | VF1HSRC8N48679798 |
| სრული მასა (კგ) / Max. tech. permissible laden mass (kg) | F.1 | |
| ნებადართული მაქს. მასა(კგ) / Permissible max. mass (kg) | F.2 | |
| დაუტვირთავი მასა (კგ) / Unladen mass (kg) | G | |
| ძრავის მოცულობა (სმ³) / Engine capacity (cm³) | P.1 | 1598 |
| მაქსიმალური სიმძლავრე (კვტ) / Max. net power (kW) | P.2 | |
| საწვავის ტიპი ან ენერგიის წყარო / Type of fuel or power source | P.3 | ბენზინი\Gasoline |
| ძრავის საიდენტიფიკაციო ნომერი / Engine identification number | P.5 | |
| სიმძლავრე / წონის ფარდობა (კვტ / კგ) / Power / weight ratio (kW/kg) | Q | |
| ფერი / Colour | R | რუხი 1/8<br>GRAY 1/8 |
| დასაჯდომი ადგილები / Number of seats | S.1 | |
| დასადგომი ადგილები / Number of standing places | S.2 | |

BB309BP

სფს სარეგისტრაციო № 22-3999
დამკვეთი: შსს მომსახურების სააგენტო
დამამზადებელია: Muehlbauer Group

10/04/2023 17:07

GE

# რეგისტრაციის მოწმობა
# REGISTRATION CERTIFICATE
## საქართველო / GEORGIA

A BB309BP (რეგისტრაციის ნომერი / Registration number)
B 2013 (სატრ. საშ. გამოშვების წელი / Manufacture year of the vehicle)
I 13/03/2023 (რეგისტრაციის თარიღი / Date of registration)

C.1.1 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი/Lanchkhutis Munitsipaliteti
C.1.2
C.1.3 ლანჩხუთის რაიონი / კოსტავას 37
Georgia,
C.1.4 233730139 (პ/ნ ან ს/კ / Personal number or ID code)
C.4 (a) სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე
Owner of the vehicle

H – (გაუქმების თარიღი / Expiration date)

CVA0013393

მოწმობა გაცემულია შსს მომსახურების სააგენტოს მიერ
Certificate is issued by Service Agency of MIA

10/04/2023 17:07